შემოსავლების სამსახური

ბრძანება №10370

18 11 2011 წელი თბილისი

**ი/მ „ვიტალი ფანცულაია"–ს (ს/ნ 104894955; პ/ნ 01003001722) მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტების საჯაროდ გავრცელების თაობაზე**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილის და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე–14 მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2011 წლის 10 ნოემბრის №7344/15-04-01/8 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია ი/მ „ვიტალი ფანცულაია"–სთვის (ს/ნ 104894955; პ/ნ 01003001722) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 21 ივნისის №12/437 „საგადასახადო მოთხოვნის" საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარების შეუძლებლობის თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 21 ივნისის №12/437 „საგადასახადო მოთხოვნა" გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 21 ივნისის №12/437 „საგადასახადო მოთხოვნა" შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (WWW.RS.GE ) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი                    ჯამბულ ებანოიძე

---

ეგზავნება: მომსახურების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს,
სსიპ საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

*დანართი №10*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

**თბილისის** რეგიონალური ცენტრი მისამართი **ბაღდადის №8**
(საგადასახადო ინსპექციის დასახელება)

საგადასახადო მოთხოვნა № 12/437

21 (რიცხვი) ივნისი (თვე) 2010 წ.

გადამხდელის /საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის რეკვიზიტები

ვიტალი ფანცულაია
(გვარი, სახელი/დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი **104894955**

მისამართი ქ. თბილისის დიდუბის რაიონში/ხოშარაულის ქ. 34

საგადასახადო კოდექსის თბ. რეგ. ცენტრის 18.06.2010 წ. №12/437 ბრძანება

(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის დარიცხვა)

**შეგიმცირდათ აქტით:**

| გადასახადის დასახელება | გადასახადის ძირითადი თანხა | ჯარიმა | საურავი | სულ | ექვემდებარება გადახდას არაუგვიანეს | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოგება | 4060 | 3045 | | 7105 | | |
| სულ | 4060 | 3045 | | 7105 | | |

გადასახადის გადახდის ადგილი და წესი: საგადასახადო კოდექსის 67-ე და 69-ე მუხლის თანახმად

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.
თქვენი უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 39-42 მუხლებით.

"საგადასახადო მოთხოვნა" შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით "საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. ჩვეულებრივი ხაზით წარდგენის გზით ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ინსპექციის უფროსი [signature]

ბ.ა.